ახალი ხარაგაული

№431 (5) 26 აპრილი, 2021 წ.

ხარაგაულის მერმა 9 აპრილის ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო

9 აპრილის ტრაგიკული ღამიდან 32 წელი გავიდა. ეს თარიღი ქართველი ერის უახლეს ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული, მაგრამ ამავე დროს საამაყო ფურცელია, რადგან ამ დღეს განვითარებული მოვლენების შედეგი გახლდათ ის, რომ ზუსტად ორი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოცხადდა.

ინფორმაციისათვის: 1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, რუსთაველის გამზირზე, მაშინდელი მთავრობის სასახლის წინ, ჯარითა და ტანკებით მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რომლის შედეგადაც 21 უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა,

უმეტესობა-ქალები, მათ შორის იყო ხარაგაულელი ელისო ჭიპაშვილი.

აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა, მერის პირველმა მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილმა, საკრებულოს წევრებმა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკეს და გაიხსენეს ის მძიმე წუთები, რაც ჩვენმა სამშობლომ გადაიტანა.

ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი, რომელიც უშუალოდ იყო ამ პროცესების თანამონაწილე, ამბობს, რომ ეს იყო დღე, როდესაც ქართველი ერი ერთი მიზნისთვის- თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის-იბრძოდა. „1989 წლის 9 აპრილს რუსთაველზე, ისევე როგორც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სხვადასხვა დროს, ვაჟკაცებთან ერთად ქალებიც იბრძოდნენ. რაც მთავარია, მსხვერპლს, რომელიც მთელმა ქვეყანამ გაიღო, უშედეგოდ არ ჩაუვლია. ზუსტად ორი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ვფიქრობ, თუ ჩვენ საქართველოს ხვალინდელი დღის უკეთესობისათვის ვიბრძვით, გარკვეულწილად 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის დამსახურებაა. უფალმა აჩუქოს და აღუზარდოს საქართველოს მრავალი თავდადებული ქალ–ვაჟი, რომლებიც ასევე გააგრძელებენ იმ დიდი ბრძოლის გზას, რომელიც აქამდე მოიტანეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა.“ - აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

ხარაგაულის მერია სააღდგომოდ სოციალურად დაუცველ ოჯახებს დაეხმარება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან თათბირი გამართა, რომელსაც მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, მოადგილე დავით დევდარიანი და თანაშემწე ჟანა ნემსაძე დაესწრნენ.

შეხვედრაზე კობა ლურსმანაშვილმა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა და ყურადღება გაამახვილა სოციალურ თემატიკაზე.

როგორც კობა ლურსმანაშვილმა აღნიშნა, საკრებულოსთან და მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება, რომ სააღდგომოდ მუნიციპალიტეტში განხორციელდეს სოციალური აქცია, რომელიც უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს

შეეხება. კერძოდ, 400 ოჯახი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერად ფინანსურ დახმარებას მიიღებს და ამ მიმართულებით, საერთო ჯამში, 20 000 ლარი დაიხარჯება. გარდა ამისა, მოხდება ჩინური კომპანიის მიერ საჩუქრად გადმოცემული პურის ფქვილის დარიგება.

ხარაგაულის მერის პირველმა მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილმა სტიქიის შედეგად დაზიანებულ მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელ კომისიაზე ისაუბრა. მისივე განმარტებით, ერთობლივი მუშაობის შედეგად დაიხვეწა კრიტერიუმები და აღნიშნული პროგრამა უფრო მოქნილი და მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული გახდა.

ვარლამ ჭიპაშვილის თქმით, იქნება მონიტორინგიც და ცალკე კომისია შეისწავლის, რამდენად მიზანმიმართულად დაიხარჯება გაცემული თანხები.

ხარაგაულის მერმა, კობა ლურსმანაშვილმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტიქიით დაზარალებულთა განცხადებების განხილვისას, კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მცირეწლოვან ბავშვებიან ოჯახებს უნდა დაუთმოს.

,,არის შემთხვევები, როდესაც დახმარებას ითხოვენ ოჯახები, რომლებიც ხარაგაულში მუდმივად არ ცხოვრობენ, რა თქმა უნდა, მათაც სჭირდებათ ჩვენი ყურადღება, მაგრამ, პირველ რიგში, ჩემი თხოვნა იქნება, გავითვალისწინოთ ბავშვებიანი, სოციალურად დაუცველი, მუდმივად მცხოვრები ოჯახები.“-განმარტა ხარაგაულის მერმა.

თავის მხრივ, მერის წარმომადგენლებმა სოფლებში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს. შეხვედრა, ძირითადად, კითხვა – პასუხის რეჟიმში წარიმართა. მერმა კონკრეტული პრობლემები მოისმინა და წარმომადგენლებთან ერთად მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელა.

საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი მოქალაქეებს შეხვდა

საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა კვიჟინაძე ხარაგაულში მოქალაქეებს შეხვდა. დეპუტატმა ადგილობრივების პრობლემები მოისმინა და, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დახმარება გაუწია. როგორც ბატონმა პაატამ განმარტა, ,,ძირითადი საჭიროებებია: დასაქმება, სოციალური საკითხების გადაწყვეტა და სოფელში არსებული პრობლემების, კერძოდ, გზისა და გაზის საკითხის მოგვარება, რომლებზეც ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ვმუშაობთ.“

ამავე დღეს დეპუტატმა მუნიციპალიტეტის მერ კობა ლურსმანაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძესთან ხარაგაულისათვის აქტუალურ საკითხებზე იმსჯელა.

შეხვედრაზე გამოიკვეთა ახალი პრიორიტეტები და მხარეებმა ისაუბრეს იმ რესურსებზე, რაც მაჟორიტარ დეპუტატს, მერს და საკრებულოს საერთო საქმის გასაკეთებლად და მოსახლეობის გვერდით დგომისთვის გააჩნიათ.

დეპუტატმა იმ შედეგებზე ისაუბრა, რაც ადგილობრივ ხელისუფლებასთან გუნდური მუშაობის ფორმატში ხარაგაულმა მიიღო.

,,მუნიციპალიტეტს წინა წლებში სტიქიით დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის მილიონ ორასი ათასი ლარი გამოეყო. ასევე რეგიონული განვითარების ფონდიდან 600 ათას ლარამდე მოვიპოვეთ, რომლის ფარგლებშიც დამატებით ხუთი პროექტი განხორციელდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთის განვითარების ფონდიდან ხარაგაულმა ყველაზე დიდი დაფინანსება- 650 ათასი - ლარი მიიღო. აღნიშნული თანხით კი ორი მაღალმთიანი სოფლის - გედსამანიისა და ზვარის გზების რეაბილიტაცია განხორციელდება.“-განმარტა დეპუტატმა.

მოგახსენებთ, რომ საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო განთავსებულია ხარაგაულის მერიის პირველ სართულზე. მისამართი: 9 აპრილის ქუჩა N15; ტელ: 577 61 33 92 ნანა ცხვედაძე.

საკრებულოს თავმჯდომარის, მანანა ბარბაქაძის, ინიციატივით, სოციალური აქცია განხორციელდა

კერძო და საჯარო სექტორის მორიგი თანამშრომლობა – ხევი-უბისის მონაკვეთზე (F2, F3) ავტობანის მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებმა ძირულის ხეობის მცხოვრებლებს პურის ფქვილი გადასცეს.

სოციალური აქცია საკრებულოს თავმჯდომარის, მანანა ბარბაქაძის, ინიციატივით მოეწყო და აღნიშნული პაკეტით იმ ოჯახებმა ისარგებლეს, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებოდათ თანადგომა. საერთო ჯამში, აქციაში 150 ოჯახი ჩაერთო.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძემ ჩინური კომპანიის წარმომადგენლებს, გამოჩენილი ყურადღებისა და მოსახლეობის დაფასებისათვის, მადლობა გადაუხადა. მეგობრობის ნიშნად კი მადლიერების სიგელები გადასცა და შემდგომი თანამშრომლობისათვის მზადყოფნა გამოთქვა.

,,ნამდვილად საამაყოა, რომ ჩინური კომპანიის მხრიდან ხშირად ეწყობა მსგავსი ტიპის საქველმოქმედო აქციები. ისინი მზად არიან, შეძლებისდაგვარად, გვერდით დაუდგნენ სოციალურად დაუცველ ოჯახებს. პანდემიის პერიოდში ყველას სჭირდება დახმარება და მისასალმებელია, რომ კერძო სექტორი იჩენს ასეთ ყურადღებას.“-აღნიშნა ქალბატონმა მანანამ.

რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს დამატებით 500 000 ლარი გამოეყო

რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მეორე ეტაპზე 500 000 ლარი გამოეყო. დამატებითი თანხების მისაღებად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მაჟორიტარი დეპუტატი პაატა კვიჟინაძე და მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი.

როგორც ჩვენთან საუბარში კობა ლურსმანაშვილი განმარტავს, აღნიშნული თანხით ხარაგაულში დამატებით ხუთი პროექტი განხორციელდება, მათ შორის, პრიორიტეტი მიენიჭა გარდამავალ პროექტებს, რომლებიც 2020 წელს დაიწყო და მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს.

საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება მარელისში (ცისკაძეების უბანი), პროექტის ჯამური ღირებულება 268 000 ლარია;

სარგვეშში (ცისკაძეების უბანი), რომლის რეაბილიტაციისთვის, საერთო ჯამში, 440 189 ლარი დაიხარჯება.

ბორითში ბეტონის საფარი დაიგება გოჭოურის უბანში. პროექტის განსახორციელებლად 100 000 ლარია გათვალისწინებული.

თეთრაწყაროში საუბნო გზებისთვის 140 000 ლარი დაიხარჯება.

რაც შეეხება ბაზალეთს, საგზაო ინფრასტრუქტურა ნანიტაშვილების მე-2 უბანში მოეწყობა. პროექტი გარდამავალია და მისი სავარაუდო ღირებულება 60 000 ლარია.

მოგახსენებთ, რომ რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პირველ ეტაპზე 2 მილიონ 809 796 ლარი გამოეყო, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტში 15 პროექტი განხორციელდება.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მუნიციპალიტეტში წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

მუნიციპალიტეტის სოფლებში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ ფაზაშია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მშენებლობა ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება და ბეტონის საფარი იგება ისეთ მონაკვეთებზე, სადაც კეთილმოწყობილი გზა არასდროს ყოფილა. ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი საგზაო ინფრასტრუქტურის მონიტორინგს ადგილზე ახორციელებს და უშუალოდ ეცნობა მოსახლეობის პრობლემებს.

როგორც კობა ლურსმანაშვილი ჩვენთან საუბარში განმარტავს, სოფელ ვერტყვილაში სასოფლო გზის 250-მეტრიან მონაკვეთზე ბეტონის საფარი იგება, პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა და ღირებულება 60 900 ლარია. აქტიურ ფაზაშია სამუშაოები მარელისში, სადაც ბეტონის საფარი 700 მეტრზე მოეწყობა. გზის რთულ მონაკვეთებზე კი სანიაღვრეები და ცხაურები გაკეთდება. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 86 027 ლარით დაფინანსდა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი თანადაფინანსება 51 448

ლარია. უნდა აღინიშნოს, რომ ჩხერის ცენტრალური გზა დასრულების ეტაპზეა. ბეტონის საფარი სასოფლო გზის 1 500 -მეტრიან მონაკვეთზე დაიგო. პროექტი გარდამავალი იყო და ორ ეტაპად განხორციელდა. ღირებულება 430 972 ლარია, რომლის ფარგლებშიც გზაზე მოეწყო ასევე საყრდენი კედელი. ჩხერში, საერთო ჯამში, ბოლო წლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა სამ ეტაპად განხორციელდა. სოფელში მისასვლელი ორივე ცენტრალური გზა რეაბილიტირებულია.

რაც შეეხება ფარცხნალი-ახალსოფლის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციას, დასრულდა. ამ ეტაპზე სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება ახალსოფლის ცენტრალურ გზაზე, პროექტის ღირებულება 313 ათასი 777 ლარია.

ახალსოფელში ბოლო წლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა ორ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე გზის 1054- მეტრიანი მონაკვეთი მობეტონდა.

საერთო ჯამში, მიმდინარე წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან 20 პროექტი დაფინანსდა, რომელთაგანაც ზოგი დასრულებულია, ზოგან კი სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მერია პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობს

როგორ აფასებს ხარაგაულის მოსახლეობა წინა წლებში განხორციელებულ საბიუჯეტო პროგრამებსა და 2022-2025 წლებისათვის რომელი პროექტების განხორციელებას მიიჩნევს პრიორიტეტულად - ამ საკითხთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებლად შექმნილი ჯგუფის წევრებთან შეხვედრა გამართა.

როგორც ვარლამ ჭიპაშვილმა განმარტა, მოსახლეობამ თავისი შეხედულებები და არჩეული პრიორიტეტები მიმდინარე წელს წერილობით პირველად დააფიქსირა. მერის პირველი მოადგილე მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა მნიშვნელოვანია და ყოველივე ეფექტურად აისახება საქმეზე.

მოგახსენებთ, რომ, გამოკითხვის მიხედვით, ადმინისტრაციულ ერთეულებში ძირითად პრობლემად რჩება: სასმელი წყალი, გზა, გაზი და საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ასევე გარე განათება, საცხოვრებელი სახლებისა და დამხმარე ნაგებობების აღდგენა, ზოგან კი ნაგვის ურნების დამატება. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტში ბოლო წლების განმავლობაში ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი თანხები დაიხარჯა, თუმცა რიგ სოფლებში ეს საკითხები კვლავ აქტუალურია.

მისასალმებელია, რომ მოსახლეობა დადებითად აფასებს საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციას, ბავშვების კვებას, სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და სოციალურ პროგრამებს.

შეხვედრაზე აღინიშნა, პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით მერია აქტიურად იმუშავებს და, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, მაქსიმალურად მოხდება მათი გათვალისწინება.

ეკა შავიძე

მთის განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 650 000 ლარი გამოეყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება აქტიურ ფაზაშია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დიდი ყურადღება ექცევა მაღალმთიან დასახლებებს და ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მოსახლეობა სოფლად დამაგრდეს.

ხაზგასმით შეიძლება აღინიშნოს, რომ საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის, ბ-ნ პაატა კვიჟინაძის, დიდი ძალისხმევითა და აქტიური მუშაობით, მთის განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 650 000 ლარი გამოეყო. მოგახსენებთ, რომ ბ-ნ პაატა საქართველოს პარლამენტში საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და, ამავდროულად, მთის განვითარების ეროვნული საბჭოს წევრია. მისასალმებელია, რომ მაჟორიტარი დეპუტატი მაქსიმალურად ჩართულია ხარაგაულისათვის პრობლემური საკითხების მოგვარებაში და, ამ მიზნით, კოორდინირებულად მუშაობს სამინისტროებთან.

როგორც ხარაგაულის მერი განმარტავს, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით გედსამანიისა და ზვარის გზების რეაბილიტაცია განხორციელდება, სადაც ბეტონის საფარი არასდროს ყოფილა, ყოველივე კი ადგილობრივებს გადაადგილების პრობლემას უქმნიდა. მერის ინფორმაციით, გედსამანიაში ცენტრალური გზა 2016 წელს მობეტონდა, თუმცა დარჩა გარკვეული მონაკვეთი და, მოსახლეობის მოთხოვნით, ამჯერად კეთილმოწყობილი გზა სოფელში არსებულ ღვთისმშობლის სახელობის ტაძრამდე მივა.

,,მთის განვითარების ფონდიდან გადმოცემული თანხების ათვისება წლის ბოლომდე მოხდება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტექნიკური საკითხების მოგვარება და, სამუშაოების განხორციელების მიზნით, ტენდერი უახლოეს დღეებში გამოცხადდება.“-აღნიშნავს კობა ლურსმანაშვილი.

ხარაგაულის მერის ინფორმაციით, საერთო ჯამში, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად ათ მილიონ ლარამდე დაიხარჯება.

ეკა შავიძე

მუნიციპალიტეტში ახალი სანაგვე ურნები განთავსდება

რამდენიმე თვეა, რაც ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას“ ბესო კვირიკაშვილი ხელმძღვანელობს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბ-ნ ბესოს მთელი თავისი რესურსი აქვს ჩადებული იმისთვის, რომ სამსახურმა ეფექტურად იმუშაოს. ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება" სისტემატურად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებას, რომელიც მუნიციპალიტეტის გალამაზებასა და სუფთა გარემოს შექმნას უკავშირდება. უფრო დეტალურად, რა გაკეთდა და იგეგმება სამომავლოდ, ბესო კვირიკაშვილი პირადად გვესაუბრება:

-ჩვენი ორგანიზაცია ძირითადად ემსახურება ხარაგაულის ქუჩების დასუფთავებას, კეთილმოწყობას, სკვერების მოვლა-პატრონობას, ნარჩენების გატანას სოფლებიდან, საკანალიზაციო სისტემისა და სანიაღვრე არხების გაწმენდას, ღამის განათების მოვლა-პატრონობასა და აღდგენას. როდესაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურად ჩავერთე იმ პრობლემატური საკითხების მოგვარებაში, რომლებიც მუნიციპალიტეტს აწუხებდა. პატარა ხარაგაულში, მესხებისა (70-მეტრიანი) და გრიშაშვილის (30-მეტრიანი) უბნებში, აღვადგინეთ დაზიანებული საკანალიზაციო სისტემა. იგეგმება გრიშაშვილის ქუჩაზე 90 მეტრი სიგრძის სანიაღვრე არხის მოწყობა. გაიწმინდა მერიის მიმდებარედ არსებული სალექარი, რომელიც ღომეთიდან ჩამოედინება. გარდა ამისა, კულტურისა და დასვენების პარკისთვის შევიძინეთ 60 კუბი პემზა (ვულკანური ქვიშა) და პარკში არსებული შესასვლელები მოვაპირკეთეთ.

მაქსიმალურად ვზრუნავთ ხარაგაულის იერსახეზე და ამ მიზნით სისტემატურად ვახორციელებთ სხვადასხვა ღონისძიებას. მიმდინარე წელს მოვახდინეთ 3 000 ლარამდე ღირებულების ყვავილებისა და მარადმწვანე მცენარეების შესყიდვა, რომლითაც დაბის ტერიტორიის გამწვანებას ვგეგმავთ.

-რა ინტენსივობით ხდება მუნიციპალიტეტში სანაგვე კონტეინერების დაცლა და რამდენია მათი რაოდენობა?

-სანაგვე კონტეინერები ყველა ადმინისტრაციულ ერთეულშია განთავსებული, მათი რაოდენობა კი, ამ ეტაპზე, 450-ია. დაბაში ნაგვის ურნების გაცლა ხდება ყოველდღიურად, ხოლო სოფლებში გრაფიკის მიხედვით - ყოველ მეორე დღეს. გვყავს ოთხი ნაგავმზიდი მანქანა, რომელიც ახდენს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას მუნიციპალიტეტიდან. სიახლეა ისიც, რომ ხარაგაულის მერის, ბატონ კობა ლურსმანაშვილის, ძალისხმევით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ახალი ნაგვის ურნების შესაძენად გამოგვეყო 50 000 ლარი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონსოლიდირებული ტენდერი და უახლოეს მომავალში ხარაგაულის მთელ ტერიტორიაზე მოხდება ამორტიზებული სანაგვე კონტეინერების ახლით ჩანაცვლება. ნაწილს კი დავამატებთ იქ, სადაც ამის საჭიროებაა.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სოფლებში გვყავს გავლითი მეეზოვეები, რომლებიც ცენტრალურ გზებსა და მიმდებარე ტერიტორიებს ასუფთავებენ.

-ბატონო ბესო, გვესაუბრეთ სამომავლო გეგმებზე.

-ვგეგმავთ, მონაწილეობა მივიღოთ, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, გარე განათების სისტემის მოწყობაში. მერიის მხრიდან მოხდება ყველა საჭირო ინვენტარის - ნივთის შეძენა და სამუშაოებს ორგანიზაციის თანამშრომლები შეასრულებენ. ვფიქრობ, ამით გარკვეული თანხები დაიზოგება და გარე განათების ქსელი უფრო მეტ მონაკვეთზე მოეწყობა. როდესაც მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კეთილმოწყობის სამსახური, რომლის კომპეტენციაში შედის გარე განათების ქსელის მოწყობა, მუშახელში დამატებითი თანხები აღარ უნდა დაიხარჯოს, აქ დასაქმებული პირები ვალდებულნი არიან, ეს სამუშაოები განახორციელონ. მერის, ბ-ნ კობა ლურსმანაშვილის სურვილია, ნაკლები თანხებით უფრო მეტი შედეგი მიიღოს მოსახლეობამ, სწორედ ამიტომ მიმდინარე წელს ამ პროექტში აქტიურად ჩავერთვებით.

მოსახლეობას ასევე ძალიან აწუხებს უპატრონო ძაღლების თავშესაფრის არარსებობა. მინდა აღვნიშნო, რომ, სამწუხაროდ, ძაღლების გადაყვანა თავშესაფარში არ ხდება, ტენდერში გამარჯვებული კომპანია მხოლოდ ახდენს მათს სტერილიზაცია - დანომვრასა და უკან დაბრუნებას.

დაგვევალა სოფლებში ადმინისტრაციული შენობების მოწესრიგება. ამ ეტაპზე დაგეგმილია ფარცხნალისა და ლაშის ადმინისტრაციული შენობების შემოღობვა. გარდა ამისა, საღანძილეში არსებულ მემორიალთან და 9 აპრილის ქუჩაზე, წვენების ყოფილი ქარხნის ტერიტორიაზე, სკვერები მოეწყობა.

ვფიქრობთ, დაბაში არსებული მცირე ზომის სანაგვე კონტეინერების შეცვლას გაცილებით ტევადი კონტეინერებით.

ბოლოს მინდა, მოსახლეობას ვთხოვო, მოვუფრთხილდეთ და ნუ დავანაგვიანებთ გარემოს. თითოეული ჩვენგანის ვალდებულებაა, დავიცვათ სისუფთავე, გავუფრთხილდეთ გარემოს, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის მერიაში მოხდა სოციალური აქციის განხორციელება

ჩინური კომპანიის ქველმოქმედებითა და თანადგომით ხარაგაულის მერია სოციალურ აქციას იწყებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ხევი-უბისის მონაკვეთზე (F3) ავტობანის მშენებელი კომპანიის წარმომადგენლები ხარაგაულის მერს, კობა ლურსმანაშვილსა და მერის პირველ მოადგილეს, ვარლამ ჭიპაშვილს, შეხვდნენ. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ჩინურმა კომპანიამ მერიას, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და მცირე შემოსავლის მქონე ოჯახების დახმარების მიზნით, 5000 ლარის ღირებულების 25 - კილოგრამიანი 141 ტომარა პურის ფქვილი გადასცა.

ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა ჩინური კომპანიის წარმომადგენლებს მუნიციპალიტეტის მიმართ გამოჩენილი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და

განმარტა, რომ ახლა, როცა ქვეყანაში მძიმე პანდემიის ფონია, კერძო სექტორის მხრიდან ასეთ აქციებში ჩართვა დროული და მნიშვნელოვანია.

,,ვფიქრობ ეს არის სოლიდარობის კარგი ფაქტი. ნამდვილად მისაბაძია ჩინური კომპანიის თანადგომა და ვისურვებდი, სოციალურ აქციაში სხვა მცირე თუ დიდი მასშტაბის კომპანიებიც ჩაერთონ და დახმარების ხელი გაუწოდონ ჩვენს მოქალაქეებს. იმედი მაქვს, რომ ასეთი ურთიერთობები მომავალშიც გაგრძელდება .“-განმარტა კობა ლურსმანაშვილმა.

აქვე მოგახსენებთ, რომ პურის ფქვილი მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ შერჩეულ სეგმენტ ჯგუფზე გადანაწილდა და მისი გაცემა აქტიურად ხორციელდება.

დაბა ხარაგაულში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება

დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში რამდენიმე თვეა, მერის წარმომადგენლად ალექსანდრე ტაბატაძე დაინიშნა. პროფესიით ისტორიკოს-სამართალმცოდნე, ამ დრომდე არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა. გონიერებითა და ჰუმანურობით გამორჩეულ ალექსანდრეს მეუღლე და ერთი შვილი ჰყავს.

როგორია დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებთა სოციალური მდგომარეობა, რომელი ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება და რა იგეგმება სამომავლოდ, ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე თავად გვესაუბრება.

-ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში დაბის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ძალისხმევით, არაერთი მასშტაბური პროექტი განხორციელდა. ბეტონის საფარი დაიგო ნიორაძის ქუჩაზე, 9 აპრილის მეორე და დეკანოსიძის პირველ ჩიხებში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გურამიშვილის (პატარა ხარაგაული) ქუჩის ორი ჩიხის რეაბილიტაცია. საერთო ჯამში, 21 ჩიხი მობეტონდება, მათგან 18 დასრულებულია. უახლოეს მომავალში განხორციელდება ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული საყრდენი კედლის აღდგენა, რომელზეც ტენდერი დასრულდა და გამარჯვებული კომპანია კი სამუშაოებს მიმდინარე წელს სრულყოფს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხარაგაულელებს უახლოეს მომავალში ხარისხიანი და უწყვეტი წყალ-

მომარაგება ექნებათ და პრობლემა, რომელიც ამ დრომდე მწვავედ დგას მოსახლეობის წინაშე, აღმოიფხვრება. ამ მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები, რომლის ფარგლებში დაგეგმილია ლეღვნის სათავე ნაგებობიდან დაბა ხარაგაულში შემომავალი წყლის სისტემის მაგისტრალის რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ორი ჭაბურღილი და შეიცვლება კორპუსებში წყალმომარაგების საერთო სარგებლობის შიდა გაყვანილობა.

ასევე მისასალმებელია, რომ დაბის ტერიტორიაზე მოეწყობა წყალარინების (კანალიზაციის) სისტემა. კანალიზაციის პროექტირებამშენებლობა, დაახლოებით, რვა თვეში დასრულდება.

-როგორია დაბის მცხოვრებთა სოციალური მდგომარეობა?

-დაბაში მცხოვრებთა სოციალური მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა. კორონავირუსის პანდემია თითქმის ყველა ოჯახზე აისახა. ძირითადად მომმართავენ ერთჯერადი ფინანსური დახმარების, მედიკამენტებისა და სამედიცინო გამოკვლევის დაფინანსებისთვის. მაქსიმალურად ვცდილობთ, ამ ადამიანებს გვერდით დავუდგეთ. არ მახსენდება არც ერთი ფაქტი, რომელიც უყურადღებოდ დაგვიტოვებია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხდება აღნიშნული მოთხოვნების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის მერიაში ძირითადად მოქმედებს სოციალური პროგრამები, რომლებზეც საკმაოდ სოლიდური თანხები იხარჯება და გარკვეულწილად დაბის მოსახლეობაც სარგებლობს ამ პაკეტით. ასევე სოციალურად დაუცველებს ყოველ ზამთარს საშეშე მერქნით უზრუნველვყოფთ. გარდა ამისა, სააღდგომოდ ვაპირებთ, შეჭირვებულ ოჯახებს დავეხმაროთ როგორც პროდუქტით, ასევე ფულადი საშუალებით. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მას მერე, რაც მუნიციპალიტეტის მერად კობა ლურსმანაშვილი აირჩა, უკვე რამდენჯერმე განხორციელდა გარკვეულ სეგმენტებზე საკვები პროდუქტებით დახმარება. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ დაბაში ფუნქციონირებს „სათნოების სახლი“ და ვისაც ამის საჭიროება აქვს, ამ სერვისით სარგებლობს.

-გვესაუბრეთ, დაბაში დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე.

-ჩვენი სურვილია, მოხდეს ყველა ჩიხის რეაბილიტაცია, საპროექტო სამუშაოები ყველგან დასრულებულია და, ვფიქრობ, ეტაპობრივად დაიწყება მობეტონება. აუცილებელია მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია. ამ მიმართულებით მერია აქტიურად მუშაობს და პროექტი დასაფინანსებლად რეგიონული განვითარების სამინისტროშია გაგზავნილი. სამომავლოდ დაგეგმილია ომში დაღუპულთა მემორიალისა და სკვერების რეაბილიტაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ხარაგაულის მერი ბ-ნ კობა ლურსმანაშვილი აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, რათა მოხდეს ცენტრალური ქუჩის სრული რეაბილიტაცია და ჩვენი ხარაგაული კიდევ უფრო გალამაზდება.

ბოლოს მინდა, ყველა ხარაგაულელს ჯანმრთელობა და მხნეობა ვუსურვო. ვეცადოთ, ერთმანეთს გავულამაზოთ თითოეული დღე და ჩვენი წვლილი შევიტანოთ მუნიციპალიტეტის წინსვლა-განვითარებაში. მე, როგორც მერის წარმომადგენელი, ყოველთვის თქვენ გვერდით მიგულეთ. კომპეტენციის ფარგლებში, მაქსიმალურად შევეცდები, ვიზრუნო თითოეული თქვენგანის პრობლემების მოგვარებასა და კეთილდღეობაზე.

თამარ მაღრაძე

ეს სწორუპოვარი სულიერი საგანძურია...

მხატვართა პლენერ „გამას“ (პროექტის ავტორი ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი ქალბატონი იზა ვეფხვაძე) უკვე 5 წლის ისტორია აქვს. 2016 წლიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს სტუმრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე ცნობილი მხატვრები და თავიანთი ღვთიური ნიჭიერებით ტილოებზე გადააქვთ იმერეთის ულამაზესი პეიზაჟები, იმერელთა ცხოვრების ყოფითი მოტივები. შემდეგ კი თავიანთ ნაღვაწს საჩუქრად უტოვებენ ლიტერატურულ თეატრს.

და აი, მიმდინარე წლის 29 მარტიდან პირველი აპრილის ჩათვლით, ლიტერატურული თეატრი (სოლომონ მეფის ქუჩა N19ა) მასპინძლობდა „გამას“ მონაწილე ცნობილი მხატვრების - ილია პატაშურის, ჯემალ კუხალაშვილის, ზაურ დეისაძის, შალვა გერაძის, გურამ მღებრიშვილის, ალექსანდრე თოდუას,

კახა ხინველის, ალექსანდრე ციხელაშვილის, მალხაზ მარღიშვილის, ზურაბ გაბუნიას, ალექსანდრე ხუბუას, ანზორ თოდრიას, თემურ თადუმაძის, მალხაზ ცისკაძის, არჩილ კვესაძის, გურამ ცერცვაძის, დავით სულაქველიძის, ნუგზარ ლაცაბიძის, ზეინაბ ბუაჩიძის, რუსუდან ფოჩხუას ნამუშევრების გამოფენას.

სასიხარულოა, რომ აღნიშნულ დღეებში, რეგულაციების სრული დაცვით, გამოფენას არ მოჰკლებია დამთვალიერებელი. ქალბატონი იზა ვეფხვაძე დიდი გულისხმიერებითა და შინაარსიანი საუბრით საინტერესოდ აცნობდა თითოეულ დამთვალიერებელს მხატვრის ჩანაფიქრსა და ამა თუ იმ სურათის შექმნის ისტორიას.

-ეს სწორუპოვარი სულიერი საგანძურია, რომელიც შეერწყმება ხარაგაულის კულტურული ყოფის დიდ ისტორიას და მომავალ თაობებს არაერთხელ შეახსენებს იმ ჭეშმარიტებას, რომ „ხელოვნებაა თავათა უკვდავება. მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი.“ თუმცა აშკარაა, რომ საგამოფენო სივრცე ნამდვილად ვერ იტევს ცნობილ მხატვართა ნიჭიერებას, მათს ჩანაფიქრს... სასურველი იქნება, თუ ეს არაჩვეულებრივი გამოფენა უფრო ფართო სივრცეში დაიდებს ბინას, რადგან „გამა“ მომდევნო წლებშიც გაგვახარებს ხარაგაულელებს, - აღნიშნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა იუზა (ვალოდა) კელენჯერიძემ, რომელიც გამოფენას მეუღლესთან, სამუსიკო სკოლის დირექტორ ქალბატონ ლალი ალექსიძესთან ერთად ეწვია.

დამთვალიერებელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა სიმრავლე დაბის სამივე სკოლის მოსწავლეებისა, მათი პედაგოგებისა. უფროსკლასელები დიდი ემოციებით გამოხატავდნენ სურვილს - „გამა- 6- ზე“ უშუალოდ გაიცნონ ქართული ფერწერის ოსტატები.

ვინატროთ, რომ გაჯანსაღდეს გარემო, მშვიდობიანად ავიშოროთ კორონავირუსის ყოველი გამოვლინება და უახლოესი სამომავლო ჩანაფიქრის ხორცშესხმის საშუალება მიეცეს ხარაგაულის სახალხო ლიტერატურულ თეატრს, რომ სიყვარულით გაუღოს კარი „გამა - 6 -ის“ მონაწილეებსა და ხელოვნების ყველა მოყვარულს.

გაცნობებთ, რომ მხატვართა პლენერი „გამა - 6“ დაგეგმილია ივნისის თვეში.

მერი გიორგიძე

ხარაგაულის მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ეტლები გადასცა

მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისათვის ახალი ეტლების გადაცემის პროცესი გრძელდება.

ხარაგაულის მერის პირველმა მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილმა თანამედროვე, კომფორტული ეტლები ბენეფიციარებს პირადად გადასცა.

სოციალური აქცია ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩარ-

თულობისა და ინფორმირების მუნიციპალურმა ცენტრმა“ (დირექტორი ეკა შავიძე) საერთაშორისო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის“ (თავმჯდომარე მაია კვეზერელი - კოპაძე) მხარდაჭერით განახორციელა.

მოგახსენებთ, რომ სავარძლები ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით, იმ პირებს გადაეცათ, ვისაც ან საერთოდ არ ჰქონდა ეტლი, ან დაზიანებული იყო.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის აქცია ხარაგაულში 2016 წლიდან ხორციელდება და ამ პერიოდის განმავლობაში 100-ზე მეტი გსმ პირი იქნა დამხმარე მოწყობილობით უზრუნველყოფილი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ხარაგაულის საჯარო სკოლებს შორის ურთიერთანამშრომლობა დაფორმდა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. შეხვედრა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში 14 აპრილს, დედაენის დღეს, შედგა, რომელსაც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე შალვა კირთაძე, პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი მამული ბუჭუხიშვილი და USAID საბაზისო განათლების კოორდინატორი ნატალია ქობულაძე უძღვებოდნენ. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე და საჯარო სკოლების დირექტორები.

მემორანდუმის მიზანია ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც მიმართული იქნება სტუდენტების, სკოლის პედაგოგების პროფესიული განვითარებისა და სკოლის მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციის, მათი პროფესიული ორიენტირების ხელშეწყობისაკენ.

პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, მამული ბუჭუხიშვილი ამბობს, რომ „მემორანდუმის თანახმად, სტუდენტები, რომლებიც გადიან მასწავლებლის მომზადების 300-კრედიტიან პროგრამას, პრაქტიკებს გაივლიან პარტნიორ სკოლებში. ეს იქნება ერთწლიანი პრაქტიკა, სადაც მათ უნდა დაიცვან სამაგისტრო ნაშრომები. ჩვენი მთავარი მიზანია, აღვზარდოთ პროფესიონალი მომავალი თაობები. ვფიქრობ, ყოველივე ერთობლივად გაცილებით უკეთესად გამოგვივა,“ - განმარტავს მამული ბუჭუხიშვილი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე შალვა კირთაძე აცხადებს, რომ ეს ხელშეწყობაა სტუდენტებისთვის, რომელთაც საშუალება აქვთ, პრაქტიკა საკუთარ სკოლებში გაიარონ. ბატონი შალვა ფიქრობს, რომ ასეთი ნაბიჯები წაადგება, როგორც უმაღლეს სასწავლებელს, ისე სკოლასაც.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე მიესალმება ამ მეტად მნიშვნელოვან პროექტს და იმედს გამოთქვამს, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის პროგრამის კურსდამთავრებულები რეალურად შეძლებენ სკოლებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

თამარ მაღრაძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲠᲔᲙᲝᲜᲓᲘᲪᲘᲝᲜᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ

ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი ვიზიტორებისთვის პირველი მარტიდან, რეკომენდაციების სრული დაცვით, გაიხსნა. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის გამო მუზეუმი ხანგრძლივად დაკეტილი იყო, სამ საგამოფენო დარბაზში კოსმეტიკური სამუშაოები მაინც მიმდინარეობდა. „ამ დროის განმავლობაში მუზეუმს თითქმის არ დაუსვენია და პანდემიის პერიოდი საკმაოდ პროდუქტიულად გამოვიყენეთ. ამ ეტაპისთვის სამუშაოების ძირითადი ნაწილი უკვე დასრულებულია და გამოფენილია ის ნამუშევრები, რომლებიც 2017 წლიდან დღემდე საჩუქრად გადმოეცა მუზეუმს. დარჩენილია მხოლოდ ბოლო დეტალები - ნამუშევრებზე ანოტაციების მიმაგრება და ქანდაკებების განლაგება. თუ ქვეყანაში არსებული ეპიდვითარება მოგვცემს საშუალებას, მაისის თვეში, მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, ვგეგმავთ რეაბილიტირებული დარბაზების გახსნას. დამთვალიერებელს შესაძლებლობა ექნება, სხვადასხვა თაობის ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებს (ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა და სხვა) გაეცნოს. ამ უდიდესი საქველმოქმედო აქციის ინიციატორია ლევან ცუცქირიძის სამხატვრო სტუდია „ფრესკა.“ მინდა, მადლობა გადავუხადო მხატვარ მამუკა ცუცქირიძეს და თითოეულ მხატვარს, რომლებმაც უსასყიდლოდ გაიღეს ხარაგაულის კულტურული მემკვიდრეობისათვის თავიანთი არაჩვეულებრივი ნამუშევრები. საერთო ჯამში, მუზეუმში დაცულია 11 ათასამდე ექსპონატი.“-განმარტავს ჩვენთან საუბარში მუზეუმის ხელმძღვანელი ნინო დიდიძე.

ქ-ნ ნინოს ინფორმაციით, ამ ეტაპზე მუზეუმის პირველი სართულია დატვირთული. მათ შორის: არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ვერცხლეულის დარბაზი. მისივე განმარტებით, ვიზიტორებს დაწესებული შეზღუდვების სრული დაცვით იღებენ და აუცილებელია პირბადე, დეზობარიერის გავლა, თერმოსკრინინგი და დარბაზში დისტანციის დაცვა.

დიდიძე მუზეუმის სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრება. „ვემზადებით მუზეუმების საერთაშორისო კვირეულისთვის, რომელიც 18-25 მაისსაა დაგეგმილი. კვირეულს წინ უძღვის ეროვნული სამოსის დღე. ამ დღესთან დაკავშირებით ქუჩაში კოსტუმირებულ მსვლელობას ყოველთვის ვაწყობდით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, რამდენად მოგვეცემა ამჟამად ამის შესაძლებლობა, ვნახოთ. რაც შეეხება მუზეუმების საერთაშორისო კვირეულს, თემატიკა ყოველწლიურად იცვლება. 2020 წელს ICOM-ის შემოთავაზებული თემა „მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა“ იყო, რომელსაც ნოემბრის თვეში ონლაინ გამოვეხმაურეთ. წელს შემოთავაზებული თემა „აღდგენა და გარდასახვაა.“ თემატიკასთან დაკავშირებით გვაქვს სხვადასხვა იდეა. ვფიქრობ, საინტერესო იქნება, გაკეთდეს ვიდეო მასალა, რომლითაც „გაცოცხლდება“ მუზეუმში არსებული ექსპონატები. აღნიშნული ვიდეო მუზეუმის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზეც აიტვირთება. მუზეუმი სიახლეებს ყოველთვის მომზადებული ხვდება და ამჯერადაც ხარაგაულელებს ბევრ სიახლეს ვპირდებით.“

მარიამ შარიძაძე

სტიქით დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა იწყება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა იწყება. სამუშაოების განხორციელების მიზნით, გამოცხადებული ტენდერი დასრულდა. როგორც დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, თანხები ძირითადად გზებისა და ხიდების რეაბილიტაციის, ნაპირსამაგრი სამუშაოებისა და გაბიონების მოსაწყობად დაიხარჯება.

მოგახსენებთ, რომ შემსრულებელი კომპანია ვალდებულია, სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან, არაუგვიანეს, ოთხ თვეში დაასრულოს.

როგორც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი განმარტავს, ეს არის პირველი ეტაპი და, სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, დამატებითი თანხების მობილიზებაზე მუნიციპალიტეტი კვლავ აქტიურად მუშაობს.

,,წინა წლებში სტიქიით მიყენებული ზარალი მუნიციპალიტეტში, დაახლოებით, 5 მლნ ლარამდეა. ამ ეტაპზე კი ხარაგაულს, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 1 200 000 ლარი გამოეყო, რომელიც ძირითადად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენას მოხმარდება. დამატებით თანხების მობილიზებაზე კვლავ აქტიურად ვმუშაობთ შესაბამის სამინისტროებთან და ყოველივე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მოხდება გამოყოფილი თანხების ათვისება. თუმცა გეტყვით, რომ უყურადღებოდ არ დარჩება არც ერთი ადმინისტრაციული ერთეული და სამუშაოები ეტაპობრივად ყველგან განხორციელდება.

ამჟამად, რაც სწრაფ რეაგირებას საჭიროებდა, გახლდათ დაბაში, ბაზრის მიმდებარედ, ნაპირდამცავი კედლის აშენება. გარდა ამისა, სოფლებში გზებისა და ხიდების კუთხით იყო რიგი პრობლემები, რაც მოსახლეობის გადაადგილებას საფრთხეს უქმნიდა.

სამწუხაროდ, სტიქია მუნიციპალიტეტში ხშირია. ახლაც ვიმყოფებით წერტილოვანი პრობლემის წინაშე. ხანგრძლივი წვიმის შედეგად, დაზიანდა ბაზალეთი-ხარაგაულის დამაკავშირებელი გზის გარკვეული მონაკვეთი. აღნიშნულთან დაკავშირებით, გვაქვს კოორდინაცია ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და მინისტრის მოადგილეებთან. უკვე ადგილზე იმყოფებოდა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოახდინა ტექნიკური დათვალიერება.

ხაზგასმით შემიძლია აღვნიშნო, რომ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები აქტიურად მუშაობენ ნებისმიერი პრობლემატური საკითხის აღმოსაფხვრელად და, რაც მთავარია, სწრაფი რეაგირებები ხდება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად გვერდით გვიდგას მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი პაატა კვიჟინაძე და იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია. ვფიქრობ, გუნდური მუშაობის პრინციპი დადებითად აისახება საქმეზე და ის საკითხები, რომლებიც მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარეობს, მაქსიმალურად უმოკლეს ვადებში გადაიჭრება.“-აცხადებს ხარაგაულის მერი.

ეკა შავიძე

14 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ - ᲓᲔᲓᲐᲔᲜᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ, ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲔᲒᲖᲣᲠᲘᲐ!...

ყოველთვის და უფრო ინტენსიურად 14 აპრილს, დედაენის დღეს, ხაზს ვუსვამთ იმ დიდ ძალას, რასაც მშობლიური ენა წარმოადგენს ერის ცხოვრებაში. გონებაში ვაანალიზებთ ყველა იმ ფაქტორს, რაც ენის სიწმინდის დაცვისა და მისი გაძლიერებისათვისაა გათვალისწინებული. მიუხედავად სახელოვან წინაპართა რჩევა-გამოცდილებისა და დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისობიდან გამომდინარე, მაინც ვცოდავთ ენასთან მიმართებაში და გვავიწყდება ქართველი ერის მამის, ილია მართლის, სიტყვები: „ენა საღვთო რამ არის, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს...“ უამრავი მაგალითის მოხმობაა შესაძლებელი ამ „ცოდვათა“ წარმოსაჩენად...

პირადად, პრესის ფურცლებზე ენის სიწმინდის საკითხს ბევრჯერ შევხებივარ, თუმცა...

სწორედ ახლახან ერთხელ კიდევ მომხვდა ხელთ უმშვენიერესი წიგნი - შუქია აფრიდონიძის „ჩვენი ენა ქართული“ და მის სატიტულო ფურცელზე მომავალი თაობისადმი დიდი სიყვარულის გამომხატველი სიტყვები: „ვუძღვნი ჩვენი სკოლის გოგო-ბიჭებს - ყველა ანოსა და ვანოს - დედაენის მომავალ ქომაგებსა და გუშაგებს.“

აღნიშნულმა წიგნმა ერთხელ კიდევ წარმართა ჩემი ფიქრი იმ საიმედო მეგზურისაკენ, რომლითაც ყველა ანო და ვანო იკვლევს გზას ცოდნის მწვერვალებისაკენ. როცა საიმედო მეგზურზე ვსაუბრობ, აქ მხედველობაში მყავს არა პედაგოგი ან მშობელი, არამედ სახელმძღვანელი - მოსწავლის წიგნი და უამრავ „გაპარულ“ შეცდომათაგან ამჯერად ორიოდეს მოვუხმობ, რადგან პატარა წერილი კი არა-მთელი გაზეთიც ვერ დაიტევს მარტო ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში აღნუსხულ შეცდომებს...

კარგად გვახსოვს, თუ როგორ შეიქმნა საქართველოს ჰიმნი „თავისუფლება“ როგორც ტექსტის ავტორი დავით მაღრაძე აღნიშნავს, ჰიმნის ტექსტი ქართული საგანძურიდან მოხმობილი სტრიქონებით აიგო, ასე გაჩნდა ჰიმნის დასაწყისში აკაკი წერეთლის დიდი პატრიოტული გრძნობის გამომხატველი ლექსიდან („ხატის წინ“) სტრიქონები:

„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე - მთელი ქვეყანა...“

თუ თვალს შეავლებთ ნებისმიერ სასწავლო საგანში გამოცემულ მოსწავლის წიგნს, მოსწავლის რვეულს, მასწავლებლის წიგნს და ა.შ. შეიძლება ძალიან იშვიათად შეგხვდეთ მეორე ტაეპისათვის ესოდენ აუცილებელი სასვენი ნიშანი ტირე, რასაც, წერითი სამუშაოს შესრულებისას, მასწავლებელი არაფრით არ აპატიებს აკადემიურად დაბალი მოსწრების მოსწავლესაც კი.

როგორც ვიცით, ტირე დაისმის წინადადებაში გამოტოვებული წევრის ადგილას. მოხმობილი მაგალითით პირველ ტაეპში „ხატია“ შედგენილი შემასმენელია, მეორე ტაეპში მარცვალთა რაოდენობის გამო შემასმენელი აღარ არის საჭირო და მისი ადგილი ტირემ უნდა შეავსოს.

ამის შესახებ პირადად რამდენიმე გამომცემლობას ვაცნობე, თუმცა ამაოდ...

სასვენ ნიშნებს რომ თავი დავანებოთ, მიუტევებელია ფაქტობრივი შეცდომები და ფაქტი კი ფაქტს გააჩნია...

მეცხრე კლასის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ გამოცემაში (გამომცემლობასა და წიგნის ავტორებს შეგნებულად არ ვასახელებ) 262 -ე გვერდზე ვკითხულობთ:

„საბედისწერო აღმოჩნდა ქართულ-კახეთისთვის აღა-მაჰმად ხანის შემოსევა (1795 წ.). იგი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთი არ დაეხმარებოდა ქართველებს. ასეც მოხდა. ღალატით გაცემულ კრწანისის ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. საკმარისი არ აღმოჩნდა 75 წლის ერეკლეს ხმლის ტრიალი შუაგულ ომში, 300 არაგველისა და 9 ძმა ხერხეულიძის გმირობა. მტერმა სასტიკად ააოხრა თბილისი.“

კარგად მოგეხსენებათ, დემოკრატიის შუქურით, მასწავლებლებს უამრავი ალტერნატიული სახელმძღვანელოს არჩევის უფლება აქვთ და ერთ-ერთ სკოლაშიც ჩემი ახლობელი გოგონა სწორედ შერჩეული წიგნით ეუფლებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ისტორიულ პოემას („ბედი ქართლისა“). გოგონას დავალებად ჰქონდა თემა „აწ საფლავიცა არსად ჩანს მათთვის...“ როცა შესრულებული ნაშრომი წავიკითხე, შეშფოთებულმა მივმართე: - ეს რა გიქნია, ჩემო კარგო, როგორ დაგიმახინჯებია ისტორიული ფაქტი. 300 არაგველი კრწანისის ბრძოლაში დაეცა, ხოლო 9 ძმა ხერხეულიძე 1625 წელს მარაბდის ბრძოლაში დაიღუპა და როგორ შეძლებდნენ გვერდიგვერდ ბრძოლას, როცა ამ ისტორიულ ფაქტებს შორის დროის შუალედი 170 წელია? გოგონამ მწყრალად შემომხედა და მითხრა: - წიგნში ასე წერია და მე რა ვქნა? - და სწრაფად მომირბენინა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო... რასაკვირველია, ამ ფაქტს კომენტარი აღარ სჭირდება...

მაპატიოს ცნობილი მწერლის, რეზო ჭეიშვილის, სულმა და ქართული ლიტერატურის მერვე კლასის ერთ-ერთ სახელმძღვანელოთი მითითებული მისი სამუდამო სავანის პატივგება რომ გადაწყვიტოს მავანმა, რაც არ უნდა ეცადოს, ვერაფრით ვერ მიაგნებს დიდების პანთეონში, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 2015 წელს გარდაცვლილი მწერალი დიდი პატივით ჩაიკრა გულში „მწვანეყვავილას“ პანთეონმა ქუთაისში და დღესაც იქვე განისვენებს.

თუ საჭიროდ მიიჩნევთ, მერვე კლასის ქართული ლიტერატურის მოსწავლის წიგნში მე-16 გვერდზე აუცილებლად წაწყდებით ამ უზუსტობას...

არადა, გამოცემულ წიგნებს თავფურცელზე გამოკვეთილად მითითებული აქვს, რომ გრიფშინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ.

ჩემო ძვირფასებო!

გავუფრთხილდეთ „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენას“ - ჩვენს დედაენას და გავუფრთხილდეთ ჩვენი ცხოვრების დიდ იმედს - მოსწავლე- ახალგაზრდობას...

მერი გიორგიძე

დიდვაკის ბინების რეაბილიტაცია იგეგმება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდვაკეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია იგეგმება.

მერიამ, აღნიშნული სამუშაოების განხორციელების მიზნით, ტენდერი გამოაცხადა.

როგორც დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, შეიცვლება ბინების სახურავი, გარდა ამისა, დაგეგმილია საერთო სარგებლობის კიბეების რეაბილიტაცია.

აღნიშნული პროექტი ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 37 786 ლარით დაფინანსდა.

გამარჯვებული კომპანია 28 აპრილს გამოვლინდება, რომელიც ვალდებულია, სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 35 კალენდარულ დღეში შეასრულოს.

პრობლემა, რომელიც დიდვაკის მოსახლეობას წლებია, აწუხებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, უშუალო ძალისხმევით გადაიჭრება.

როგორც ხარაგაულის მერი განმარტავს, მუნიციპალიტეტში მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციის მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად მუშაობს და ამ მიმართულებით მომავალში ბევრი სიახლე იქნება.

მაგიდის ჩოგბურთში გამარჯვებულს მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ქიპაშვილმა, სიმბოლური საჩუქარი გადასცა

მაგიდის ჩოგბურთში გამარჯვებულს მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ქიპაშვილმა, სიმბოლური საჩუქარი გადასცა

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრში“ (დირექტორი გრიგოლ ქიპაშვილი) სპორტული ღონისძიებები რეკომენდაციების სრული დაცვით მიმდინარეობს. ამჯერად შეჯიბრი მაგიდის ჩოგბურთში ორგანიზაციებს შორის ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობას სულ ოთხი გუნდი იღებდა. გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებსაც სიმბოლური საჩუქრები მერის პირველმა მოადგილე ვარლამ ქიპაშვილმა და „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ დირექტორმა გრიგოლ ქიპაშვილმა გადასცეს. დამსახურებული პირველი ადგილის მფლობელი მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელი რონინ გელაშვილი გახდა. მეორე ადგილი ივანე გოლუბიანმა დაიკავა, მესამე კი - ვეფხვია ღონღაძემ.

ტურნირი გრეჰეთბოლში

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ ინიციატივით, ხარაგაულში გრეჰეთბოლის ტურნირი გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილეობა 20-მდე ახალგაზრდამ მიიღო და სამი გამარჯვებული გამოვლინდა: პირველი ადგილი- ლუკა გოგოლაძე; მეორე ადგილი- გიორგი ბუაჩიძე, მესამე ადგილი- შოთა ვეფხვაძე. გამარჯვებულებს ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ დირექტორმა გრიგოლ ქიპაშვილმა სიგელები და მედლები გადასცა.

შეჯიბრი გრეჰეთბოლში მიზნად ისახავდა ფეხბურთის პოპულარიზაციასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

მარიამ შარიძაძე

ᲫᲘᲠᲣᲚᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘ ᲛᲝᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

მუნიციპალური ტრანსპორტის ახალ ხაზზე ტენდერი დასრულდა. ამის შესახებ ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა მოგვანოდა. როგორც ხარაგაულის მერი განმარტავს, სამარშრუტო ტაქსი კვირაში ორი დღე - ორშაბათსა და ოთხშაბათს - შეასრულებს რეისს სოფელ ნადაბურიდან ხევის, ხუნევის, ვერტყვიჭალის, ბორითის, უბისის, ძირულისა და ლაშის მიმართულებით და შემოვა ხარაგაულში. გამოსვლის დრო ნადაბურიდან 07:30 საათია. ტრანსპორტი ხარაგაულიდან 13:00 საათზე დაბრუნდება. მგზავრობის ღირებულება 1 ლარი იქნება, ხოლო შიდა გადაადგილება 0.50 თეთრი ეღირება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას დღემდე 15 სამარშრუტო სვლაგეზზე აქვს განხორციელებული შესყიდვა.

„მუნიციპალური ტრანსპორტი მოსახლეობისათვის იაფად გადაადგილების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. სამწუხაროდ, ხარაგაული არაა ამ მომსახურებით განებივრებული. ვიცით, რომ კერძო სექტორი უზრუნველყოფს სხვადასხვა მიმართულებით მგზავრთა გადაყვანას. თუმცა, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, თანამონაწილეობა მივიღოთ და ვფიქრობთ, კიდევ დავამატოთ ახალი სვლაგეზები.“-აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ: 595-51-98-12